დიდი სიყვარულიც კვდება

კარგა ხანია, რაც ტელემაყურებლისთვის პოპულარული გადაცემა „ამბობენ“, ყოველ შაბათს, მშვენიერ ავტორსა და წამყვან **თეა გვასალიასთან** ერთად, უამრავ საინტერესო ამბავს გვაუწყებს ქართული და უცხოური ბომონდის შესახებ. თავის მხრივ, ტელემაყურებლებს თავად თეას შესახებაც ბევრი რამ აინტერესებთ. ამიტომაც, ხშირად არის იგი ჭორაობის ობიექტი და მასზე „ჭორაობასაც“ სწორედ თეას საფირმო ფრაზით — „ამბობენ“-ით იწყებენ.

— თეა, შენი „საბრძანებელი“, ანუ სტუდია ამ ბოლო დროს ძალიან გალამაზდა. როგორც ამბობენ, „ჯეოსელს“ უზრუნია ამისთვის.

— დიახ, „ჯეოსელმა“ დაგვაფინანსა. სტუდიის დიზაინის შეცვლაზე კი, ჩვენმა მხატვარმა, მერაბ გუჯეჯიანმა იზრუნა.

— შენს გარეგნობაზე ვინ ზრუნავს და როგორ ახერხებ ყოველ გადაცემაში ღიმილის უხვად ფრქვევას? ყოველთვის კარგ ხასიათზე ხარ თუ თავის დაჭერის ხელოვნებას ფლობ?

— ჩემს გარეგნობაზე ჩვენი ვიზაჟისტი — ვერიკო მუშაობს — მაკიაჟს მიკეთებს ხოლმე, სილამაზის სალონ „შარმში“ კი, რამაზ ბოჭორიშვილი მვარცხნის. რაც შეეხება ჩემს ხასიათს და გუნება-განწყობას, დეპრესიისკენ მიდრეკილება არ მაქვს. ძირითადად, მართლაც კარგ ხასიათზე ვარ. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის მიმართლებს.

— ასეთ დროს კურიოზულ სიტუაციებშიც ხომ არ აღმოჩნდები ხოლმე?

— რა გითხრათ, იმდენად მოწესრიგებული მუშაკი ვარ, არანაირი კურიოზი არ შემმთხვევია.

— არც ტექსტის წაკითხვა შეგშლია არასოდეს?

— არა. კარგი მეხსიერება მაქვს, ნებისმიერი ტექსტის დასამახსოვრებლად ერთხელ წაკითხვაც კი მყოფნის.

— მაინცდამაინც „ამბობენ“ რატომ დაარქვი შენს გადაცემას და არა, ვთქვათ, „ჭორი“, ან „ამბები“?

— იმიტომ, რომ ჩემს გადაცემაში 2% ჭორიც კი არ არის. როცა რაღაც ფაქტზე ვლაპარაკობ, ფონად ვიზუალური მხარეც ახლავს თან, ანუ ამბის ამსახველი სიუჟეტით გადავცემ. ასე რომ, ჩემს გადაცემაში, განსაკუთრებით, ქართულ სიუჟეტებში, ჭორები თითქმის გამორიცხულია.

— შენზე გავრცელებული ჭორები გეცოდინება. ამას წინათ გავიგე, თეა გვასალია სულ შეყვარებულიაო... იქნებ გაგვიმხილო, ვინ გიყვარს — შენი ქმარი თუ...?

— ო, ჭორიკნები კარგად ვერ მუშაობენ. ქმარი უკვე აღარ მყავს, ერთმანეთს დავშორდით. ახლა მარტო ვცხოვრობ. ისე კი, როცა გათხოვილი ვიყავი, ჭორების კოლექციას ვაგროვებდი. რას აღარ ამბობდნენ ჩემზე, ვინ აღარ აქციეს ჩემს ქმრად თუ საყვარლად... სხვათა შორის, მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის მიმეტებდნენ. მე კი, მარტო სამიოდ პოლიტიკოსი თუ ვიცი: ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია და ედვარდ სურმანიძე... როგორც კი ჩემი ახალი „საყვარლის“ ან „ქმრის“ შესახებ ჭორს გავიგებდი, გაფაციცებით ვეძებდი ტელეეკრანზე. ხშირად გულიც დამწყვეტია — ამაზე უკეთესი ვერავინ გაიმეტეს ჩემთვის-მეთქი?! ეს ადრე იყო. ახლა კი, აღარ მაინტერესებს, ვინ რას ჭორაობს. რაც უნდათ, ის ილაპარაკონ.

— არც უცხოელი „საყვარლები“ გყოლია?

— უჰ, რამდენიც გინდა (იცინის). სასახლეებიც მაქვს უცხოეთში, ესპანეთში — აუზიანი ვილა... თუ მეღირსა იმის ნახვა, შენც აუცილებლად დაგპატიჟებ. ისე ამ ჭორმა ძალიან მომხიბლა, ყველაზე მეტად აუზი მომეწონა.

— წელან მითხარი, მე და ჩემი ქმარი ერთმანეთს დავშორდითო... გამიგია თქვენი დიდი სიყვარულის შესახებ.

— ეტყობა, დიდი სიყვარულიც მთავრდება. თებერვალში დავშორდით ერთმანეთს. ახლა მარტო ვარ და, ჯერჯერობით, ნამდვილად არ ველოდები სიყვარულს.

— ეი. პოროსკოპით „მშვილდოსანი“ ჯერ ამურის ისრების სროლას არ აპირებ? ტიპური „მშვილდოსანი“ ხარ?

— არა, არა. ისე, რაც შეეხება ჩემს ზოდიაქოს ნიშანს, როცა დახასიათება წავიკითხე, ძალიან მომეწონა, რომ „მშვილდოსნები“ მაწანწალები და ავანტიურისტები ყოფილან. მაწანწალა მართლა ვარ. ძალიან მიყვარს მოგზაურობა, ავანტიურისტობისა კი, რა მოგახსენოთ.

— გარდა სტუდიის დიზაინისა, შენს გადაცემაში სხვაც ბევრი რამ შეიცვალა. მომავალ შაბათს ვინ გეყოლება სტუმრად?

— ალბათ „ქუჩის ბიჭები“. მათ ახალ კლიპს წარვუდგენ მაყურებელს და თან რაღაც-რაღაცებზეც ვისაუბრებთ.

— რომ შეგეძლოს, ალბათ შენს უცხოელ კერპებსაც მოიწვევდი სტუდიაში სტუმრად.

— კერპები არ მყავს. ისე კი, ძალიან მომწონს პარისონ ფორდი, მეგ რაიანი, სანდრა ბალოკი, ბილ პულმანი და ხულიო იგლესიასი. სხვათა შორის, მისი სიყვარულის გამოც, განსაკუთრებული მონდომებით ვსწავლობდი ესპანურ ენას.

— თეა, მამუკა ღლონტზე ამბობენ, მკაცრი უფროსიაო.

— ჩემთან ნამდვილად არ არის მკაცრი. მომწონს მისი საოცარი ინტუიცია და რისკიანობა. როცა ყველას გვგონია, რომ მისი გადაწყვეტილება არასწორია, მამუკა სწორედ მაშინ ახვედრებს ზუსტად მიზანს და მისი რისკიც ამართლებს.

— შენი მთარგმნელობითი შემოქმედება როგორ ვითარდება?

— ტელევიზიას ძალიან დიდი დრო მიაქვს. როგორც კი ვიცლი, ვთარგმნი გაბრიელ მარკესს. ბოლო 10 რომანი ვთარგმნე, მეთერთმეტეზე ვმუშაობ და გული მწყდება, რომ ქართველ მკითხველს, ფაქტობრივად, „მარტოობის ასი წელიწადის“ გარდა, მარკესის არაფერი წაუკითხავს. მე კი, თარგმანები მიდევს და ვერ ვბეჭდავ. ძნელია წიგნის გამოცემა — საკუთარი სახსრებით ამას ვერ შევძლებ. თუმცა, იმედს არ ვკარგავ, რომ ჩემი თარგმანების გამოცემას მოვახერხებ.

ეკა ლომიძე

გარანტია 1 წელი
ინტერნეტში ჩართვა
კომპიუტერები,
პრინტერები,
სკანერები,
ორგტექნიკა,
აქსესუარები,
საკარგო
მასალები.
პროგრამების
ინსტალირება,
კონსულტაციები.
☎ 92-02-14
Fax 22-59-06
მცხეთის ქუჩა №2
კომპიუტერის მაგიდები

შვიდი ათასი მანეთი „ფოთუმისთვის“



ბატონი **ნუგზარ ჯუღელის** *გამონათქვამებზე თბილისში ლეგენდები დადის... თვითონაც საოცრად გულწრფელად საუბრობს ამ თემაზე... მისი ხიბლიც ალბათ სწორედ ამაშია. თქვენი არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით, მატჩის მსვლელობით დაძაბულ მაყურებელზე მისი კურიოზული ფრაზები ფსიქოთერაპიის სეანსის ეფექტს ახდენს... თუმცა, სულ ეს არ არის... ბატონი ნუგზარი თვითონ ძალიან საინტერესო ადამიანი და არაჩვეულებრივი მთხრობელია... როცა ის რამეს ჰყვება, შეიძლება სუნთქვა შეიკავო და ისე უსმინო... ტელევიზიაში კი, რუსთაველის თეატრიდან მოვიდა...*

— პროფესიით მსახიობი ბრძანდებით... რატომ მიანიჭეთ უპირატესობა ტელევიზიას?

— 1959 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი და მივედი რუსთაველის თეატრში. 1971 წლამდე ტელევიზიაშიც ვიყავი და თეატრშიც. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ უცხოეთში (რუმინეთში) რუსთაველელთა პირველ გასტროლებზე მივიღე მონაწილეობა. ასევე მეამაყება, რომ ვითამაშე ერთ-ერთ პირველ ტელესპექტაკლში — „ჩიპოლინოს თავგადასავალში“, რომელიც ბატონმა მიშა თუმანიშვილმა დადგა. შემდეგ დაიწყო რუსთაველის თეატრის აყვავების ხანა და შეუძლებელი გახდა ვყოფილიყავი ორი ბატონის მსახური. მიმაჩნია, რომ თუ თეატრი მიკროსამყაროა, ტელევიზია მაშინ კოსმოსია, ძალიან დიდი ასპარეზი აქვს იქ მომუშავე ადამიანს და თუკი ნიჭიერიცაა, მაშინ თეატრის ნებისმიერ მუშაკზე მეტის გაკეთება შეუძლია ტელევიზიის ნებისმიერ მსახურს. მაგალითისთვის, საკმარისია გიორგი სანაია, რომელმაც სულ რამდენიმე წელი იმუშავა ტელენამყვანად, ამდენ ხალხს შეაყვარა თავი და ამდენს დასწყვიტა გული.

— თქვენ მონაწილეობდით საქართველოში ტელევიზიის ჩამოყალიბების პროცესში, როგორ ფიქრობთ, წლების გადასახედიდან რა შეიცვალა ცუდიდან კარგისკენ და პირიქით?

— ახლა ხშირად არის საუბარი იმაზე, რომ ძველი სჯობდა ახალს. ეს აბსურდია. დროს ვერაფერი შეაჩერებს. თუმცა. არსებობს ნოსტალგიაც და პატარ-პატარა გულდასაწყვეტი ნიუანსებიც... რასაც მისტირი, ეს არის ინტიმი, რაც ჩვენს ტელევიზიას ჰქონდა, არ იყო გადასული ასეთ გლობალურ პრობლემებზე... თუმცა, სასიკეთო ძვრებიც უამრავია, თუნდაც ჩემს პროფესიაში. ჩემი ახალგაზრდა კოლეგებიდან გამოვყოფდი ნიკა ტაბატაძეს — მიმაჩნია, რომ ასეთი წამყვანი საქართველოში არ ყოფილა.

— თუ არსებობს საქართველოს რადიო-ტელევიზიაში ხმის ფენომენი, ამ ფენომენებს შორის თქვენს ხმას ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს...

— თეატრალურ ინსტიტუტში შემთხვევით მოვხვდი — არ მქონდა განსაკუთრებული სამსახიობო მონაცემები. საგამოცდო კომისიაში სხვებთან ერთად იყო ბუმბერაზი აკაკი ხორავა, რომელიც კარგი ხმის მოტრფიალე გახლდათ. სწორედ ბატონმა აკაკიმ გადაწყვიტა ჩემი ბედი და გავხდი სტუდენტი... დიქტორისთვის, კომენტატორისთვის ხმას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ჩემი თაობისათვის ლევიტანი პოპულარობით სტალინის შემდეგ იყო... არ მახსოვს, ეროსი მანჯგალაძის მომაჯადოებელი ხმა სადმე გამეგო და იმ ხმას გავქცეოდი... თუმცა, ერთიც არის — თუ საინტერესო ადამიანი არ ხარ, არც ხმა გიშველის და არც გარეგნობა... ერთხელ, აქ, სახლში, სტუმრად მყავდა ცნობილი დიქტორი ნიკოლოზ ოზეროვი... ერთ დილას, ჩაის სმისას ვკითხე, რა თვისება უნდა ჰქონდეს წამყვანს-მეთქი. არც დაფიქრდა, ისე მიპასუხა — თვისებას ვერ გეტყვი, მაგრამ მთავარია, სახელმწიფოს პირველ პირს უყვარდესო. ალბათ, მართალია... და კიდევ, თუ ხალხის სიყვარული არ გაქვს, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე...

— არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ ფრაზებს, რომლებიც „ნუგზარ ჯუღელის გამონათქვამების“ სახელითაა ცნობილი... როგორ ახერხებდით ამ ფრაზების თქმას იმ დროში?

— ყველა ადამიანს თავისი გზა და თავისი ჯვარი აქვს. თბილისში არსებობს წრე, რომლის წევრებიც თვლიან, რომ ნუგზარ ჯუღელი ძალიან ჭკვიანი კაცია. სხვები ამ აზრს ეწინააღმდეგებიან. იმ ეპოქაში ძალიან მკაცრი ჩარჩოები იყო. გადაუხვევდი ამ ჩარჩოებს და დარჩებოდი უსამსახუროდ... ამიტომ, რაღაც გზა უნდა მოგენახა. მე იუმორის გზა ავირჩიე და გამიმართლა... ერთხელ, ინფორმაციას ვკითხულობ. ტექსტში მიწერია — „დაიწყო მიღება საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტში“. წავიკითხე, ავწიე თავი, მივხვდი რომ შეცდომაა და უკვე ატეხილია ერთი ამბავი. ბოდიში მოვიხადე. დავწიე თავი, ენახე, მართლა ასე წერია. ისევ ავწიე თავი და გავაგრძელე: „დიახ, დიახ გრძელდება მიღება საქართველოს პოლიტიკურ ინსტიტუტში“... ასეთი მრავალი შემთხვევა იყო. თითოეულ ადამიანს შიგნით გვყავს საკუთარი ცენზორი და თავისუფლების სამრეკლო. მე ცენზორს ყოველთვის ვარიდებდი თავს და თავისუფლების სამსახურში ვიყავი... შევიქმენი იმიჯი — ამ კაცს ყველაფერი ეპატიება... და მეც ვსარგებლობდი ამით. „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ვუყვარდი თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ვუყვარდი მაშინდელ ტელეხელმძღვანელობას — ბატონებს კარლო გარდაფხაძეს და აკაკი ძიძიგურს, ქალბატონ ივლიტა მესხიშვილს და ბევრ რამეს მაპატიებდნენ ხოლმე...

— ყველა ფრაზა თქვენი ნათქვამია?

— რა თქმა უნდა, არა... ამ შეკითხვაზეც ამბავს მოგიყვებით. ერთხელ ოთახში ტირილით შემოვიდა ჩემი კოლეგა — ქეთი მითაიშვილი. ტირილის მიზეზი ვკითხე, მიპასუხა — რეკლამაში ასეთი რამ წავიკითხეო — „ხვალ, ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახავთ „აბესალომ და დაისს“. დავაწყნარე, — ნუ ტირი, მაგას მაინც მე მომაწერენ, შენ მშვიდად იყავი-მეთქი. მართლაც ასე მოხდა... ამით სარგებლობდა ბევრი ჩემი მოყვარე, თუ მტერი, ყველა კურიოზს მე მაწერდნენ...

— ყველაზე წარმატებული ფრაზა, რომელიც გითქვამთ...

— ეს არის „ფოთუმი“. ვამაყობ ამ ფრაზით და იმითაც, რომ მასში იმხელა ჰონორარი ავიღე, რაც არც ერთ ტელენამყვანს არ აუღია მთელს მსოფლიოში... საქმე იმაშია, რომ მე არ მქონდა „ფოთუმი“ ნათქვამი, გადამეკიდნენ, გინდა თუ არა, თქვიო. იქ ისხდნენ წარმომადგენლები იმ წრიდან, საქმოსნებს რომ ვეძახით. რამე რომ იყოს, იტყვიო? — ვიტყვი-მეთქი. დავნაძლევდით შვიდი ათას მანეთზე (მაშინ ამ ფულით მანქანას იყიდდი). იმ კაცმა ფული მეორე კაცს ჩააბარა. შემდეგ დღეს პროგრამაში მიდიოდა სპორტული ღლიური, სადაც ასეთი ფრაზა იყო — „ნიჩბოსნობა განვითარებულია ბათუმში, სოხუმსა და ფოთში“. წინასწარ დავურეკე იმ ადამიანებს, შევატყობინე დრო და ვთხოვე გულდასმით ეყურებინათ ტელევიზორისთვის. მე კი, პირდაპირ ეთერში დინჯად წავიკითხე: „ნიჩბოსნობა განვითარებულია ბათუმში, სოხუმსა და ფოთუმში“. შემდეგ წავედი იმ კაცებთან, მივიღე ჰონორარი, გავფრინდი მოსკოვში და ერთი კვირის განმავლობაში არაჩვეულებრივი დრო გავატარე...

P.S. განწყობისათვის გთავაზობთ რამდენიმე გამონათქვამს, რომელიც ბატონ ნუგზარს ეკუთვნის და, სხვათა შორის, არც მალავს ამას:

„ — ბურთი ფეხზე ხვდება დარსაძეს. ჰო, მართლა, ფეხზე გამახსენდა — ხვალ „დინამოს“ სტადიონზე დიდი ფეხბურთია...“

„ — და ქართველმა წყალბურთელებმა აქ, მოსკოვში, წყალზე ცეცხლი დაანთეს“.

„ — მერაბ მეგრელაძე! ჩვენი უბერებელი ფეხბურთელი! სტენლი მეტიუზმა 52 წლამდე ითამაშა და ბრიტანეთის დედოფალმა ლორდის ტიტული მიანიჭა. არ შეიძლება, მერაბ მეგრელაძეს აზნაურიშვილობა მაინც ვუბოძოთ?“

„ — ძალიან უჭირთ ფეხბურთელებს. ახლა სავარჯიშოზე თითქმის ოცი ფეხბურთელია. ეს დაახლოებით 24 ფეხია...“

ეკა მახარაშვილი